შირაქი

SHIRAKI

www. open.ge

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№33 (9.747)

27 აგვისტო-3 სექტემბერი 2016 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

გვ.6

შინდისის გმირის სახელობის ტურნირი სოფელ ფიროსმანში

რთველი 2016 დაიწყო

გვ. 6



გვ. 5

წარმატებული აბიტურიენტები

ფრანკფურტის ხელნაკეთი ნივთების გამოფენაზე ქართული სუვენირები იქნება წარდგენილი

გვ. 2

„სტარტაპ საქართველოს“ ფარგლებში 20 ინოვაციური ბიზნესიდეა დაფინანსდა

გვ.2

გვ.8

ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატის სასწაულები

ყურადღება!

საქართველოს საარჩევნო კოდექსის მუხლი 50.2-4-ით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში, გაზეთი „შირაქი“ ყველა საარჩევნო სუბიექტს დაუთმობს საგაზეთო ფართს პოლიტიკური რეკლამისათვის. 8 ოქტომბრამდე გაზეთი „შირაქი“ ყოველკვირეულად, თითოეულ ნომერში საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე საარჩევნო პარტიებსა და კანდიდატებს გაზეთის ფართს დაუთმობს, რომელიც განკუთვნილი იქნება ფასიანი პოლიტიკური რეკლამისთვის და თანაბრად გადანაწილდება ყველა საარჩევნო სუბიექტზე. ფასიანი პოლიტიკური რეკლამისთვის გამოყოფილი გაზეთის ერთი გვერდის ფასი კი 150 ლარით განისაზღვრება.

C M Y K

„სტარტაპ საქართველოს“ ფარგლებში 20 ინოვაციური ბიზნესიდეა დაფინანსდა

ინოვაციური ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამის „სტარტაპ საქართველოს“ ფარგლებში 20 ბიზნესიდეა დაფინანსდა. პროგრამის ფარგლებში 720-ზე მეტი განაცხადი იყო წარდგენილი.

ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს ინფორმაციით, მაღალტექნოლოგიური კომპონენტის პროექტები ძირითადად შემდეგი დარგებიდან არის: საფინანსო ტექნოლოგიები, განახლებადი ენერგეტიკა, ბიო ტექნოლოგიები, ნანოტექნოლოგიები, ხელოვნური ინტელექტი, საინფორმაციო ტექნოლოგიები, მობილური აპლიკაციები, ელექტრონული სწავლება და სხვა.

„სტარტაპ საქართველო“ საქართველოს მთავრობის 4-პუნქტიანი გეგმის ფარგლებში ხორციელდება. პროგრამისთვის პირველ ეტაპზე 11 მილიონი ლარი გამოიყო, რაც შემდეგ 35 მილიონამდე გაიზრდება.

პროექტს საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო და საპარტნიორო ფონდი ახორციელებენ.

1 სექტემბრიდან აზომვითი ნახაზის მომზადების ახალი წესი ამოქმედდება

საჯარო რეესტრი 1 სექტემბრიდან მიწაზე საკუთრების უფლების რეგისტრაციას მხოლოდ ახალი სტანდარტის შესაბამისად შედგენილი საკადასტრო აზომვითი ნახაზის საფუძველზე განახორციელებს.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, დადგინდა აგეგმვითი/აზომვითი ნახაზის სტანდარტული ფორმა და სავალდებულო ტექნიკური სპეციფიკაციები, რომელთა შესაბამისად უნდა მომზადდეს მიწის ნაკვეთის საკადასტრო ნახაზი.

„იმ პირებმა, რომლებსაც ძველი წესის შესაბამისად მომზადებული საკადასტრო აზომვითი ნახაზი აქვთ და სურთ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია, საჯარო რეესტრს უნდა მიმართონ 2016 წლის 1-ლ სექტემბრამდე, ვინაიდან ამ თარიღის შემდეგ ძველი წესით შესრულებული ნახაზით რეგისტრაცია აღარ განხორციელდება.

მიწის რეგისტრაციის ახალი პროექტის ფარგლებში ამზომველსა და მოქალაქეს შორის გაიმიჯნა პასუხისმგებლობა. კერძოდ, უძრავი ნივთის ადგილმდებარეობასა და საზღვრის იდენტიფიცირებაზე პასუხისმგებელია მესაკუთრე, ხოლო აზომვითი სამუშაოების სრულყოფილად შესრულებასა და ნახაზის სისწორეზე კი - ამზომველი“, - განაცხადეს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში.

მათივე ინფორმაციით, ახალი სტანდარტები უფრო მეტად დაცულს ხდის როგორც მიწის მესაკუთრეების, ისე ამზომველების უფლებებს.

„ამზომველს ეცოდინება, როგორ აზომოს მიწის ნაკვეთი ცდომილების გარეშე, რაც მინიმუმამდე დაიყვანს მესაკუთრეებს შორის სამომავლო დავების წარმოშობის რისკს. კვალიფიციური ამზომველის საქმიანობა მოთხოვნადი გახდება“, - აღნიშნეს სააგენტოში.

ფრანკფურტის ხელნაკეთი ნივთების გამოფენაზე ქართული სუვენირები იქნება წარდგენილი

27-30 აგვისტოს, ფრანკფურტის ხელნაკეთი ნივთების საერთაშორისო გამოფენაზე თენდენცე, ქართული სუვენირები პირველად გამოიფინება.

როგორც "ინტერპრესნიუსს" კულტურის სამინისტროდან აცნობეს, სამინისტროსა და აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სამხატვრო აკადემიის მხარდაჭერით, ლურჯ სუფრასთან ერთად, წარმოდგენილი იქნება ქართული სუფრის მოტივებზე სხვადასხვა ტექნოლოგიით შექმნილი სუვენირები. გამოიფინება ბატიკის, კერამიკის და სხვა მასალის გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები.

100%-იანი სახელმწიფო გრანტი 1112-მა აბიტურიენტმა მოიპოვა

ერთიანი ეროვნული გამოცდების საბოლოო მონაცემებით, 2016 წელს სტუდენტი 27 782 აბიტურიენტი გახდა. აქედან 1112-მა აბიტურიენტმა 100%-იანი გრანტი მოიპოვა, 1456-მა 70%-იანი, ხოლო 4078-მა აბიტურიენტმა 50%-იანი გრანტი.

გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა მაია მიმინოშვილმა განაცხადა, რომ ჯამში სრული ან ნაწილობრივი სახელმწიფო დაფინანსება 6500-ზე მეტმა აბიტურიენტმა მიიღო. ამ რიცხვს ემატება ის 3800 პირველკურსელი, რომლებიც სახელმწიფოს მიერ სრულად დაფინანსებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩაირიცხნენ.

„დაახლოებით 500 აბიტურიენტი იყო ისეთი, რომელთაც ბარიერი გადალახეს, მაგრამ მითითებულ ფაკულტეტზე ვერ მოხვდნენ. ეს იმიტომ მოხდა, რომ მათ ოცივე არჩევანი არ ჰქონდათ დაფიქსირებული და სულ 5-მდე ფაკულტეტი მიუთითეს“, - განაცხადა მაია მიმინოშვილმა.

საერთო ჯამში ეროვნულ გამოცდებზე დაახლოებით 37 ათასი აბაიტურიენტი გავიდა. მიმინოშვილის განცხადებით, დაახლოებით 10 ათასამდე აბიტურიენტი უნივერსიტეტს მიღმა დარჩა.

ჩინური კორპორაციები საქართველოს სამშენებლო სექტორით, ქართული ღვინით და ტურიზმის სფეროში ინვესტირებით დაინტერესდნენ

უმსხვილესი ჩინური კორპორაციები საქართველოს სამშენებლო სექტორით, ქართული ღვინით და ტურიზმის სფეროში ინვესტირებით დაინტერესდნენ, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა „ჰუალინგ ჯგუფის“ პრეზიდენტ, მი ენ-ჰუასთან და სხვა ჩინური კორპორაციების წარმომადგენლებთან შეხვედრაზე აღინიშნა.

გიორგი კვირიკაშვილმა ჩინელ ბიზნესმენებს საინვესტიციო გარემო გააცნო და აღნიშნა, რომ საქართველო ინვესტორებს სთავაზობს დიდ შესაძლებლობებს — თავისუფალ და ღია ეკონომიკას.

შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა ქართული ღვინის ექსპორტის გაზრდის პერსპექტივებზე და ხაზი გაესვა ბოლო პერიოდში ჩინეთში ქართული ღვინის ზრდის დინამიკას. საუბარი ასევე შეეხო საქართველოში ტურიზმის მიმართულებით არსებულ დადებით ტენდენციას და ვიზიტორთა რიცხვის უპრეცედენტო ზრდის მაჩვენებლებს.

მხარეებმა ისაუბრეს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების მნიშვნელობაზე, რაც მათი თქმით, იძლევა დიდ შესაძლებლობას ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარებისთვის.

მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრას ეკონომიკური საბჭოს მდივანი, ბიზნესომბუდსმენი გიორგი გახარია და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე ქეთევან ბოჭორიშვილი დაესწრნენ.

ლაგოდეხში, ახმეტასა და საგარეჯოში ხე-ტყის უკანონო ჭრის ფაქტები გამოავლინეს

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ინფორმაციით კახეთის სამმართველოს თანამშრომლებმა ხე-ტყის უკანონო ჭრის 5 ფაქტი გამოავლინეს.

დეპარტამენტის ინფორმაციით, ლაგოდეხის, ახმეტისა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტებში მოქალაქეებმა წიფლის, რცხილის და მუხის სახეობის ხეები უკანონოდ მოიპოვეს.

როგორც დეპარტამენტში აცხადებენ, მომხდართან დაკავშირებით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები შედგა და მასალები შემდგომი რეაგირებისათვის შესაბამის რაიონულ სასამართლოს გადაეგზავნება.

მკვდარ ზღვაში მარილის კრისტალებად ქცეული კაბის ფოტოები მუზეუმში გამოფენილ

ებრაელმა ხელოვანმა სიგალიტ ლანდაუმ საკუთარი იდეით პროექტი „მარილის პატარძალი“ განახორციელა - 2014 წელს ისრაელში არსებულ მკვდარ ზღვაში გასული საუკუნის სტილის კაბა მოათავსა და რვა ნაწილისგან შემდგარი ფოტოსესიით აღბეჭდა, თუ როგორ იქცა ორი წლის მანძილზე კაბა მარილის კრისტალებით დაფარულ ექსპონატად.

უცნაური კრეატიული პროექტი შთაგონებული იყო რუსი-ებრაელი ავტორის, შლოიმ რაპოპორტის, იგივე ს. ანსკის 1916 წელს შემქნილი პიესით - „დიბუკი“, რომლის სიუჟეტში ახალგაზრდა ჰასიდი ებრაელი ქალის ებრაული ფოლკლორის ავი სულის - დიბუკის მიერ შეპყრობაა აღწერილი.

ლანდაუ მლაშე მკვდარი ზღვის წყალში არსებულ კაბას ორი წლის მანძილზე ამოწმებდა და პერიოდულად ფოტოებს უღებდა, რომლებიც ლონდონში მალბოროს მუზეუმში 3 სექტემბრამდე იქნება გამოფენილი.

თურქეთის ქალაქ ჯიზრეში აფეთქება მოხდა

თურქეთის ქალაქ ჯიზრეში მომხდარი აფეთქების შედეგად დაღუპულთა რაოდენობა 11-მდე გაიზარდა. ამის შესახებ ადგილობრივი პრესა ჯანდაცვის სამინისტროზე დაყრდნობით იტყობინება.

თურქეთის ჯანდაცვის მინისტრის, რეჯეპ აქდაგის ინფორმაციით, ყველა დაღუპული სამართალდამცველია. დაშავებულთა რაოდენობა გაიზარდა 78-მდე, აქედან 4 მათგანის მდგომარეობა კრიტიკულია.

დღეს დილით, თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთში მდებარე ქალაქ ჯიზრეში, პოლიციის განყოფილებასთან დანაღმული ავტომობილი აფეთქდა.

ადგილობრივი მედიის ცნობით, აფეთქების უკან თურქეთში აკრძალული „ქურთისტანის მუშათა პარტია“ დგას.

იტალიაში 27 აგვისტო ეროვნული გლოვის დღედ გამოცხადდა

ამის შესახებ ინფორმაციას სააგენტო Ansa ავრცელებს.

მისივე ინფორმაციით, ხვალ, მიწისძვრის შედეგად დაღუპულთა დაკრძალვის ცერემონია გაიმართება. ქვეყნის მასშტაბით, ყველა საჯარო დაწესებულების შენობაზე სახელმწიფო დროშას დაუშვებენ.

ბოლო მონაცემებით, იტალიაში მომხდარი მიწისძვრის შედეგად სულ მცირე 267 ადამიანი დაიღუპა, თითქმის 400 კი ჰოსპიტალიზებულია.

6,2 მაგნიტუდის მიწისძვრა იტალიაში ოთხშაბათს, ადგილობრივი დროით 03:36 საათზე მოხდა. ყველაზე მეტად, ქალაქი ამატრიჩე დაზარალდა, სადაც შენობების ¾ ნანგრევებად იქცა.

იტალიის პრემიერ-მინისტრმა მატეო რენციმ სტიქიით დაზარალებულ რეგიონებში საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა.

პრეზიდენტმა ოლიმპიელები ღირსების ორდენით დააჯილდოვა

საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა ოლიმპიელები „ღირსების ორდენით“ დააჯილდოვა. ქვეყნის პირველი პირის გადაწყვეტილებით, ვლადიმერ ხინჩეგაშვილი, ლაშა ტალახაძე, ვარლამ ლიპარტელიანი, ლაშა შავდათუაშვილი, შმაგი ბოლქვაძე, ირაკლი თურმანიძე და გენო პეტრიაშვილი „რიო 2016“-ის ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებზე მოპოვებული გამარჯვებისა და მიღწეული წარმატებისთვის, ასევე ქართული სპორტის საერთაშორისო ავტორიტეტის ამაღლების საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვრილისთვის დაჯილდოვნენ.

საქართველოს პრეზიდენტმა და პირველმა ლედიმ რიოს ოლიმპიადიდან დაბრუნებული ოლიმპიელები ავლაბრის სასახლეში მიიღეს.

პრეზიდენტის რეზიდენციაში გამართულ მიღებას ქართველ ოლიმპიელებთან ერთად სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ტარიელ ხეჩიკაშვილი, ოლიმპიური კომიტეტის და პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

გილოცავთ!

ჩემო პირველკურსელებო, გილოცავთ სტუდენტობას, რომელიც მართლაც უბედნიერესი ხანაა ადამიანის ცხოვრებაში. მიხარია, რომ ბევრს დაგიფასდათ ის შრომა, რომელიც სწავლაში ჩადეთ. ეს თქვენი პირველი გამარჯვებაა, საკუთარი თავის რწმენას რომ გმატებთ და ახალი მწვერვალების დაპყრობისკენ გიბიძგებთ. გისურვებთ, თქვენი შრომით და განათლებით გესახელებინოთ ჩვენი სამშობლო, ჩვენი რაიონი და მათთან ერთად მშობლები და პედაგოგები, რომლებიც დღეს ასეთი ამაყები არიან თქვენი წარმატებით. განათლებაში ჩადებული ინვესტიცია რომ მნიშვნელოვანია, ამაში კიდევ ერთხელ რწმუნდება ყველა. ხელისუფლების მხარდაჭერა ამ სფეროს სრულყოფისთვის კიდევ უფრო გაიზრდება. ცხოვრების შემდგომი ეტაპიც იღბლიანი ყოფილიყოს თითოეული თქვენგანისათვის, ზურგის ქარს გისურვებთ!

ნიკოლოზ ჯანიაშვილი,
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი.

წარმატებულო ახალგაზრდებო, რომელთაც ღირსეულად დაგიფასდათ მონდომება, ამ დროიდან თქვენი ცხოვრება მნიშვნელოვნად შეიცვალა და დაიწყო ყველაზე შრომატევადი, რთული, მაგრამ ასევე ძალიან სახალისო, ამაღელვებელი და ბედნიერი ეტაპი- სტუდენტობა. სკოლის წარმატებით დასრულება და სტუდენტობის მიღწევა იმ გრძელი და საინტერესო გზის მხოლოდ დასაწყისია , რომელიც მომავალში გელით. გისურვებთ, რომ ამ გზაზე ღირსეულად და გამარჯვებებით გევლოთ. მნიშვნელოვანია ისიც, რომ არ დაივიწყოთ თვენი პედაგოგებისა და მშობლების იმედები , რომელსაც ისინი თქვენზე ამყარებენ... ამ ყველაფერს ღირსეული პასუხი სჭირდება, რომელიც თქვენი შრომითა და მონდომებით უნდა გასცეთ. ისწავლეთ და იშრომეთ ისე, რომ შეიქმნათ წარმატებული მომავალი და ქვეყანასაც სარგებელი მოუტანოთ.

მთელი საკრებულოს სახელით გილოცავთ სტუდენტობას. უფალი გფარავდეთ.

პატივისცემით,
ზვიად ჯავახიშვილი,
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ქ. დედოფლისწყარო

19.08.2016 წელი
ქ. დედოფლისწყარო,
კოსტავასქ. №44
ტელ. 0356222503
www,dedoplistskaro.ge
ელ.ფოსტა: dedoplistskaro_region@yahoo.com

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანება №511

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტიდან სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2016 წლის საშემოდგომო გაწვევის კომისიის შექმნისა და მოქალაქეთა გაწვევის ორგანიზებულად ჩატარების შესახებ

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის და „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, „სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2016 წლის საშემოდგომო გაწვევის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 ივლისის N349 დადგენილების შესასრულებლად და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტიდან სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა ორგანიზებულად გაწვევის მიზნით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეიქმნას დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამწვევი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ნიკოლოზ ჯანიაშვილი - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი, **კომისიის თავმჯდომარე;**

მამუკა ალადაშვილი - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის უფროსი, **კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;**

ნანა ბენაშვილი - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის უფროსი სპეციალისტი, **კომისიის მდივანი;**

იოსებ გუთხუზი - შსს დედოფლისწყაროს რაიონული სამმართველოს უფროსის მოადგილე;

მალხაზ მერაბიშვილი - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის ადმინისტრაციულ ერთეულებთან ურთიერთობის კოორდინაციის განყოფილების უფროსი, **კომისიის წევრი;**

ზურაბ ჯანგულაშვილი - საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენელი.

2.დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტიდან სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა საშემოდგომო გაწვევა განხორციელდეს 2016 წლის 1 აგვისროდან 31 დეკემბრამდე.

3.სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვეულ იქნენ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები 18-დან 27 წლამდე ასაკის მოქალაქეები, რომლებსაც არა აქვთ სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევისგან განთავისუფლების ან მისი გადავადების უფლება.

4.დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში მცხოვრები 18-დან 27 წლამდე ასაკის გასაწვევი მოქალაქეები ვალდებულნი არიან გაწვევის დღისთვის გამოცხადდნენ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურში.

5.ცნობად იქნეს მიღებული, რომ მოქალაქეთა მიერ სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის გადავადების მოსაკრებლის გადახდა განხორციელდეს გაწვევის მთლიან პერიოდში, სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის უწყების მიღებიდან 10 დღის ვადაში.

6.ეთხოვოს შსს დედოფლისწყაროს რაიონული სამმართველოს, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურს აღმოუჩინოს დახმარება იმ წვევამდელთა მოძებნასა და გამწვევ კომისიაში გამოცხადებაზე, რომლებიც თავს არიდებენ სამხედრო სავალდებულო სამსახურს.

7.ბრძანება გამოქვეყნდეს გაზეთ „შირაქში''.

8.ბრძანება ძალაშია საჯაროდ გამოცხადებისთანავე.

9.ბრძანების გასაჩივრება შეიძლება სიღნაღის რაიონულ სასამართლოში (ქ. სიღნაღი. ცოტნე დადიანის ქ. №15) ბრძანების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ნიკოლოზ ჯანიაშვილი **მუნიციპალიტეტის გამგებელი**

ქ. დედოფლისწყარო აგვისტო 2016 წელი

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება №21

„საქართველოს პარლამენტის 2016 წლისარჩევნებთან დაკავშირებით სააგიტაციო მასალების (პლაკატების) განთავსების რეგულირების შესახებ“ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 15 ივნისის №14 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. „საქართველოს პარლამენტის 2016 წლისარჩევნებთან დაკავშირებით სააგიტაციო მასალების (პლაკატების) განთავსების რეგულირების შესახებ“ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 15 ივნისის №14 განკარგულებაშიშევიდეს ცვლილება და დაემატოს შემ-დეგი შინაარსის 11 მუხლი:

„11.

1) განკარგულების პირველი მუხლით გათვალისწინებულ ადგილებში საარჩევნო სუბიექტებმა უზრუნველყონ საკუთარი სააგიტაციო მასალების გამოკვრა და გამოფენა იმ ფორმით, რომ დაცული იქნეს წინასაარჩევნო კამპანიაში (აგიტაციაში) მონაწილე ყველა საარჩევნო სუბიექტის თანაბარი შესაძლებლობა, ისარგებლოს სააგიტაციო მასალის გასაკრავად და გამოსაფენად განკუთვნილი ადგილებით;

2) განკარგულების პირველი მუხლით გათვალისწინებულ ადგილებში საარჩევნო სუბიექტის მიერ გასაკრავი საარჩევნო პლაკატების მაქსიმალუ-რი რაოდენობა დგინდება შესაბამისი ადგილის ფართობის გათვალისწინებით.

3) განკარგულების პირველი მუხლით გათვალისწინებულ ადგილებში საარჩევნო სუბიექტს უფლება აქვს, გააკრას საარჩევნო პლაკატი შემდეგი ზომებით: სიგრძე - არაუმეტეს 60 სმ, სიგანე - 42სმ (A2 ფორმატი);

3) განკარგულების პირველი მუხლით გათვალისწინებულ ადგილებში საარჩევნო სუბიექტის მერ გასაკრავი საარჩევნო პლაკატის მაქსიმალური რაოდენობა ერთ საარჩევნო სუბიექტზე განისაზღვროს 3 000 ცალით.“

2. განკარგულება ძალაშია საჯაროდ გამოცხადებისთანავე;

3. განკარგულებისგასაჩივრებაშეიძლებასიღნაღის რაიონულსასამართლოში (ქ. სიღნაღი, ცოტნე დადიანისქ. №15) საჯაროდ გამოცხადებიდან ერთითვისვადაში.

საკრებულოს თავმჯდომარე ზვიად ჯავახიშვილი

წინასაარჩევნო შეხვედრები

„ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი სიღნაღსა და დედოფლისწყაროში ირაკლი შიოლაშვილი წინასაარჩევნო შეხვედრებს განაგრძობს. მოსახლეობასთან შეხვედრებზე დეპუტატობის კანდიდატი ადგილობრივებს თავის საარჩევნო პროგრამას აცნობს, სოფელში განხორციელებულ პროგრამებზე ესაუბრება მათ და ადგილობრივებისგან არსებულ პრობლემებს ისმენს.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დედოფლისწყარო-სიღნაღის მაჟორიტარი კანდიდატი ლევან ბეჟაშვილი მოსახლეობას ხვდება. ლევან ბეჟაშვილი შეხვედრაზე მყოფ ამომრჩეველს 2016-2020 წლების საარჩევნო პროგრამას აცნობს და მოსახლეობას, სოფელში ამ დრომდე მოუგვარებელ პრობლემებზე ესაუბრება.

ნაირა ალავერდაშვილი — „პატრიოტთა ალიანსის“ სიღნაღი-დედოფლისწყაროს დეპუტატობის კანდიდატი

საარჩევნო ბლოკმა „დავით თარხან-მოურავი - ირმა ინაშვილი „პატრიოტთა ალიანსი“ - გაერთიანებული ოპოზიცია“ სიღნაღი-დედოფლისწყაროს გაერთიანებულ საარჩევნო ოლქში მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად ნაირა ალავერდაშვილი წარადგინა.

„დარწმუნებული ვარ, რომ ნაირა ალავერდაშვილი ამ ოლქის მოსახლეობის ღირსეული წარმომადგენელი იქნება საქართველოს პარლამენტში. იგი ბავშვებთან, ახალგაზრდობასა და ქალებთან დაკავშირებული პროექტების ხელმძღვანელია”,—განაცხადა საარჩევნო ბლოკის ლიდერმა ირმა ინაშვილმა.

ირაკლი ალასანიამ დედოფლისწყარო-სიღნაღის მაჟორიტარობის კანდიდატად ლევან ჯამალაშვილი წარადგინა

„თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერმა ირაკლი ალასანიამ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები წარადგინა. დედოფლისწყარო-სიღნაღის გაერთიანებულ ოლქში „თავისუფალი დემოკრატებიდან“ კენჭს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის ყოფილი მოადგილე და საგანმანათლებლო რესურსცენტრის ყოფილი უფროსი ლევან ჯამალაშვილი იყრის.

„ის მუშაობდა დედოფლისწყაროს მელიორაციის სამმართველოში, რაიონის ადგილობრივ მმართველობასა და თვითმმართველობაში სხვადასხვა თანამდებობაზე: მთავარ სპეციალისტად, სამსახურის უფროსად, გამგებლის მოადგილედ, საკრებულოს კომისიის თავმჯდომარედ და სხვა. აქვს სამეურნეო დარგში მუშაობის გამოცდილება: იყო სოფელ კოტაანის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, „დედოფლისწყარო რაიგაზის“ უფროსი. არჩეული იყო რაიონის საკრებულოს წევრად და მუშაობდა საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარედ. იყო საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი და საკრებულოს ფრაქცია „დედოფლისწყაროს“ თავმჯდომარე“, - განაცხადა ირაკლი ალასანიამ.

ასპროცენტიანი დაფინანსება და გარანტირებული სტუდენტობა

2016 წლის უმაღლესში მისაღები გამოცდების შედეგები უკვე ცნობილია, აბიტურიენტებმა უკვე გაიგეს თუ რომელ სასწავლებელში, რომელ ფაკულტეტზე და რამდენპროცენტიანი დაფინანსებით მიხვდნენ უმაღლესში. დედოფლისწყაროს შედეგები არც ისე ცუდად გამოიყურება. განათლების სამინისტროს დედოფლისწყაროს სერვისცენტრის უფროსისგან ეთერ დავითაშვილისგან მივიღეთ ინფორმაცია, რომ დედოფლისწყაროს N1 საჯარო სკოლის ოთხმა მოსწავლემ მიიღო უმაღლეს გამოცდებში ასპროცენტიანი დაფინანსება, N2 საჯარო სკოლაში ორმა, სოფელ სამრეკლოს საჯარო სკოლაში ერთმა და არბოშიკის საჯარო სკოლაშიც ერთმა, სულ რვა ასპროცენტიანი დაფინანსება მიიღო რაიონმა. გთავაზობთ ინტერვიუს სამ წარმატებულ აბიტურიენტთან, ახლა უკვე მომავალ სტუდენტებთან.

კესარია ყოჩიაშვილი, *პირველი საჯარო სკოლის კურსდამთავრებული, ოქროს მედალოსანი. ჩაირიცხა GIPA- საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში 100%-იანი სახელმწიფო დაფინანსებით.*

-კესარია, რას დაარქმევდი შენს ბავშვობას, რა იყო ეს, მირაჟი, თუ ჯერ კიდევ ახლოს მყოფი რეალობა?

-ბავშვობის წლების უდიდესი ნაწილი რაიონში მაქვს გატარებული ბებოსთან და პაპასთან ერთად. ისინი ყველაფერს აკეთებდნენ, რომ ჩემი ყველა ოცნება აესრულებინათ და თამამად შემიძლია ვთქვა, რომ, მათი წყალობით, ყველა ბავშვისთვის სანატრელი ბავშვობა მქონდა.

-კესარია, შენ პროფესიად სამართალი აგირჩევია, მაინტერესებს შენი აზრი, დღეს ჩვენს ქვეყანაში არსებობს თუ არა სამართალი და, საერთოდ, როგორია ერთი რიგითი ახალგაზრდა გოგონას შეხედულება დღევანდელობისადმი ჩვენი ქვეყნის უახლოესი მოვლენების განვითარების კუთხით?

-ჩემი აზრით ჩვენს ქვეყანას ჯერ კიდევ დიდი გზა აქვს გასავლელი სამართლებრივ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებამდე. მინდა, ჩემი ქვეყანა გაბრწყინებული, ფეხზე მყარად მდგარი და წელში გამართული იყოს. მინდა, ქვეყანაში კანონის უზენაესობა მკაცრად იყოს დაცული, გაუმჯობესდეს ჩვენი მოქალაქეების ცხოვრების დონე და ყველას ჰქონდეს საშუალება, მიიღოს განათლება, რადგან ვთვლი, რომ ასეთი სახელმწიფოს აშენება მხოლოდ განათლებულ და თავისუფალ ადამიანებს ძალუძთ.

-ვის მიუძღვის დიდი წვლილი შენს პიროვნებად ჩამოყალიბებაში?

-პირველ რიგში რა თქმა უნდა ოჯახს, რადგან მთელი ამ დროის განმავლობაში ისინი სულ ჩემს გვერდით იყვნენ. ეს საგამოცდო ციებ-ცხელებაც მათი და ჩემი მეგობრების გვერდში დგომით გადავიტანე, განსაკუთრებით მინდა გამოვყო ჩემი დედის მხრიდან ბებია რუსუდან ტუხაშვილი, რომელიც ჩემი არა მარტო ბებია, არამედ მასწავლებელიც იყო. ასევე, დიდი მადლობა მინდა გადავუხადო N1 საჯარო სკოლის პედკოლექტივს და დირექტორს ეთერ ოთარაშვილს.

-კესარია, შენი აზრით, რა არის ჩვენი, ადამიანების მთავარი მისია ამქვეყნიურ ცხოვრებაში?

-ადამიანების მთავარი მისიაა თავისი სოცოცხლით გაალამაზონ და შეავსონ ეს სამყარო, მათ ევალებათ მხოლოდ და მხოლოდ სიკეთის და ისევ სიკეთის კეთება, თავისი პროფესიონალიზმით ემსახურონ სამშობლოს და აღზარდონ შვილები ჭეშმარიტ მამულიშვილებად.

- სად ხედავ შენს თავს უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ?

-უნივერსიტეტის შემდეგ, მაქვს ძალიან ბევრი გეგმა, რომელსაც დიდი იმედი მაქვს, რომ დაუღალავი შრომით და ღვთის წყალობით განვახორციელებ. ჩემს ცოდნას მოვახმარ ადამიანის უფლებების დაცვას და ყველანაირად ვეცდები, რომ ჩემი წილი აგური დავდო საქართველოს გაბრწყინებაში.

სოსო ზურაშვილი, *პირველი საჯარო სკოლის კურსდამთავრებული, ოქროს მედალოსანი. ჩაირიცხა თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე, 100%-იანი სახელმწიფო დაფინანსებით.*

-სოსო, შენი აზრით რაში მდგომარეობს ადამიანის წარმატება?

-წარმატების მისაღწევად მთავარი მიზანდასახულობაა. ადამიანს თუ აქვს მიზანი, ის ყველაფერს მიაღწევს

-საყვარელი წიგნი, წიგნის გმირი, კინო და კინოგმირი.

-საყვარელი წიგნის დასახელება გამიჭირდება, ყველა წიგნი სხვადასხვა რამეს გვასწავლის, თუმცა, ორ წიგნს მაინც გამოვყოფდი: ჯორ ორუელის „ცხოველების ფერმა“ და იუნ ნესბოს „თავებზე მონადირეები“

-როგორ ფიქრობთ, საქართველო ის ქვეყანაა, სადაც ყველა პირობაა შექმნილი ახალგაზრდებისთვის?

-საქართველოში შექმნილ პირობებს ყველაფრით საუკეთესოს ვერ დავარქმევთ, მაგრამ თუ ადამიანს, ახალგაზრდას ექნება მონდომება, მიზანი და შესაბამისი განათლება, როგორც უკვე ავღნიშნე, ყველაფერს მიაღწევს რაც სურს.

-წარმოიდგინე, რომ შენ ხარ ხელმძღვანელი პირი, რას მოიმოქმედებდი, იმისთვის, რომ ადამიანებმა გაღიმებულებმა და ბედნიერებმა იარონ ქუჩაში?

- ამ კითხვაზე პასუხის გაცემა გამიჭირდება, მაგრამ იმის თქმა კი შემიძლია, რომ მარტო ხელმძღვანელი პირები ვერ შეცვილიან ყველაფერს, თუ თვითონ ჩვენ – საზოგადოებამ არ მოვინდომეთ ეს ყველაფერი ერთად.

- ცხოვრებაში რა არის თქვენი მთავარი მიზანი?

- ჩემი მთავარი მიზანია, რომ ჩვენი ქვეყანა ვასახელო.

-ვინ იქნება სოსო ზურაშვილი ხუთი ან ათი წლის შემდეგ?

-არავინ ვიცით, რა იქნება ხვალ, ყოველდღე რაღაც იცვლება და სრულებით შესაძლებელია, რომ ჩემს პროფესიას არ გავყვე.

- ცხოვრებაში მთავარი გამოცდილებაა, თუ იღბალი?

-ჩემი აზრით, იღბალი არაფერია, თუ ადამიანს აქვს ცოდნა და, ამავდროულად, გამოცდილება. ალბათ 99% გამოცდილება და 1% იღბალი.

- ღმერთი არის... დაასრულეთ აზრი

- ღმერთი არის ის, ვისაც დიდი წვლილი მიუძღვის კაცობრიობის ჩამოყალიბებაში. ძალიან ძნელია, ვისაუბროთ იმაზე, რაც სრულყოფილად არ ვიცით.

- ვის მიუძღვის ყველაზე დიდი როლი თქვენს პიროვნებად ჩამოყალიბებაში?

- ჩემს პიროვნებად ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი მიუძღვის ჩემს ოჯახს, რომელიც ყოველთვის გვერდში მიდგა და, რა თქმა უნდა, სკოლას, სადაც ბევრი რამ ვისწავლე და რაც მთავარია, კარგი გამოცდილება მივიღე სამომავლოდ. აქვე მინდა მადლობა გადავუხადო ყველა მასწავლებელს, ვისაც ჩემთვის ერთი გაკვეთილი მაინც ჩაუტარებია.

- სამომავლო გეგმები...

-პირველ რიგში სწავლის გაგრძელებას ვაპირებ. არ მიყვარს დაწყებული საქმის მიტოვება. სწავლის დასრულების შემდეგ კი, ვნახოთ რა იქნება, როგორც ყველა ახალგაზრდას, მეც მაქვს ოცნებები, რომლის ასრულებსაც შევეცდები, მაგრამ, ზუსტი ლაპარაკი შეუძლებელია, რადგან ნებისმიერი რამ შეიძლება შეიცვალოს.

აქვე მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ყველა აბიტურიენტს მივულოცო გამოცდების წარმატებით ჩაბარება.

მარიამ ნიკვაშვილი, *მეორე საჯარო სკოლის კურსდამთავრებული, ოქროს მედალოსანი. ჩააბარა შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის ფაკულტეტზე, 100%იანი გრანტით. მარიამს ახლახანს მისწერეს უნივერსიტეტიდან, რომ იგი ინგლისურ ფილოლოგიაში საკონკურსო ქულით პირველ ადგილზეა.*

-მარიამ, ვინ იყო და არის შენი იდეალი ადამიანი რეალობაში და რომანტიკულ სამყაროში ანუ შენს მიერ წაკითხული წიგნების გმირებს ვგულისხმობ.

- იდეალის დასახელება რეალურ სამყაროში გამიჭირდება, მაგრამ ალბათ ეს იქნებოდა ადამიანი, რომელიც მუდმივად ცდილობს განვითარდეს. რაც შეეხება წიგნის პერსონაჟს, ჩემთვის ყველაზე გამორჩეული და განსაკუთრებული არის ჰითქლიფი ემილი ბრონტეს რომანიდან „ქარიშხლიანი უღელტეხილი“.

-„განათლებული გონება აკეთილშობილებს ზნეობრივ გრძნობებს: თავმა უნდა აღზარდოს გული.“ ეთანხმები თუ არა შილერის ამ გამონათქვამს?

-ინტელექტუალურობასა და ზნეობრივ სრულყოფას შორის, ვფიქრობ, პირდაპირი კავშირი არ არსებობს. რა თქმა უნდა, წიგნიერების დონე გარკვეულწილად უნდა განსაზღვრავდეს ადამიანურობას. რაც უფრო განათლებული, ნაკითხია პიროვნება, მით უფრო მეტად შესაძლებელი ხდება მისთვის თვითგანვითარება და პიროვნული ზრდა. თუმცა, ისტორიული რეალობიდან გამომდინარე, ვერ დავეთანხმები აზრს, რომ „თავმა უნდა აღზარდოს გული“, რადგან ვიცნობთ უამრავ გენიოსს, რომელთაც „განათლებული“ გონებით და საკუთარი ინტელექტით ვერ შეძლეს „ზნეობრივი გრძნობების გაკეთილშობილება“ და ასევე ვიცნობთ „გაუნათლებელ“ ადამიანებს, რომლებიც ადამიანურობისა და ჰუმანურობის ეტალონებად შეიძლება ჩავთვალოთ. თუმცა, ამ ფრაზაზე კომენტარის გაკეთებისას, საინტერესო იქნებოდა, ვიცოდე, შილერისეული განმარტება სიტყვისა – „განათლებული“.

-მარიამ, უამრავ ლიტერატურას კითხულობდი, რაც ძალიან მხიბლავდა შენში, რას გაძლევდა და გაძლევს ლიტერატურა?

-„ყოველი წაკითხული წიგნის შემდეგ ვხდები უფრო უკეთესი, ვიდრე ვიყავი.“ გურამ დოჩანაშვილის ამ ფრაზით გიპასუხებთ: იყო მკითხველი, ჩემთვის ნიშნავს, ცხოვრობდე საინტერესო სამყაროში, რომელიც მხოლოდ შენთვისაა ხელმისაწვდომი, როგორც ალისა საოცრებათა ქვეყანაში.

-შენი შეხედულება დღევანდელ ახალგაზრდობაზე.

-ჩემს თაობაზე ვიტყვი, რომ ყველა დროის ყველაზე პერსპექტიული თაობაა, რომელიც, ვფიქრობ, ბევრ რამეს შეცვლის ჩვენს რეალობაში.

-საყვარელი წიგნი...

-ძალიან ბევრი ნაწარმოებია ჩემი რჩეული, თუმცა ბოლოდროინდელი აღმოჩენაა დენიელ კიზის „ყვავილები ელჯერნონისთვის“. ყველა ასაკის მკითხველს ვურჩევ გაეცნოს ჩარლი გორდონის ცხოვრებას, რომ შეძლონ ისწავლონ უამრავი რამ შეზღუდული შესაძლებლობის ადამიანისგან.

-5 წლის შემდეგ სად და როგორ წარმოგიდგენია თავი?

-რა თქმა უნდა, მაქვს მიზნები და სურვილები, რომელთა განხორციელებასა და ახდენასაც აუცილებლად შევეცდები. თუმცა, ასეთ შორეულ გეგმებზე საუბარი ნაადრევია, არავინ იცის, რა მოხდება 5-10 წლის შემდეგ.

ლალი მეხრიშვილი

შინდისის გმირის სახელობის ტურნირი სოფელ ფიროსმანში

„შირაქის“ მკითხველს კარგად ახსოვს, რომ 2008 წლის აგვისტოს ომის ერთერთ ყველაზე მძიმე ეპიზოდში, რომელიც ისტორიაში შინდისის გმირების სახელით შევიდა, დედოფლისწყაროელი მებრძოლიც დაეცა. სოფელ ფიროსმანში მცხოვრები თეიმურაზ ბერიძე შინდისის გმირთა სიაშია და მისი გვარი-სახელი ყველა მემორიალზეა ამოტვიფრული. ამავე სოფელშია დაბადებული კიდევ ერთი შინდისის გმირი რომან ზოიძე, რომელიც ასევე გმირულად დაიღუპა. მან რამდენიმე წელი გაატარა სოფელ ფიროსმანში, ის თეიმურაზ ბერიძის ნათლია გახლდათ.

თეიმურაზ ბერიძე 1974 წლის 17 მაისს დაიბადა ხულოში, თუმცა დედოფლისწყაროს საზღვრისპირა სოფელ ფიროსმანში გაიზარდა. მიუხედავად იმისა, რომ ომის შემდგომ, თეიმურაზ ბერიძის ოჯახს საცხოვრებლად აჭარაში გადასვლა მოუხდა და შინდისის გმირის ცხედარიც სოფლიდან გადაასვენეს, რუსული ინტერვენციიდან რვა წლის თავზე ირკვევა, რომ ფიროსმანელებს თეიმურაზ ბერიძე დღემდე ახსოვთ და მისი ხსოვნის უკვდავსაყოფად არც ძალებს იშურებენ. უფრო მეტიც, ტრადიციად იქცა, რომ სოფელში თეიმურაზ ბერიძის სახელობის ტურნირი ყოველწლიურად იმართება. ფიროსმანელები ამით მის ხსოვნას მიაგებენ პატივს.

ამ ტურნირისადმი საკუთარი დამოკიდებულების წარმოსაჩენად ადგილობრივები გაზეთ „შირაქთან“ ყვებიან, რომ აგვისტოში სასკოლო არდადაგებისა და ცხელი სეზონიდან გამომდინარე სოფელი ახალგაზრდებისგან იცლება, უმრავლესობა აჭარაში, ზოგიც თურქეთში მიდის. ამის მიუხედავად, საგანგებოდ ტურნირში მონაწილეობის მისაღებად, ან დასასწრებად ახალგაზრდები სოფელში ბრუნდებიან და ენთუზიაზმით ემზადებიან. წელსაც ასე იყო, მუნიციპალიტეტის სპორტის ცენტრის ორგანიზებით, ფიროსმანმა კიდევ ერთხელ უმასპინძლა თეიმურაზ ბერიძის ხსოვნის ტურნირს. შებინდებამდე ისმოდა ჟრიამული და გულშემატკივრების ოვაციები.

ტურნირის დაწყებამდე დედოფლისწყაროს გამგებლის წარმომადგენელი სოფელ ფიროსმანში ვალიკო აბაშიძე სკვერს მათვალიერებინებს, სადაც ახლახან შინდისის გმირების მემორიალი აშენდა. სოფლის თავკაცი ამბობს, რომ მემორიალის აგება თავად სოფლის მოსახლეობის ინიციატივა იყო და სოფლის კრებაზე უმრავლესობამ მოითხოვა მათთის გამოყოფილი „სოფლის განვითარების პროგრამის“ თანხით გმირთა მემორიალი მოეწყოთ. ასეც მოიქცნენ, დღეს კი ამაყობენ იმითაც, რომ გარშემო მდებარე ქუჩების გარდა, ღამით მემორიალიც განათებულია. განათებული ქუჩები კი იმიტომ უხარიათ, რომ საინგილოდან საზღვარს აქეთ ჩაბნელებული სოფლები აღარ ჩანს და ისტორიული ჰერეთის მაცხოვრებლებიც ხედავენ, რომ ქართული სოფლები ვითარდება.

როგორც დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა ცენტრის უფროსთან საუბრისას ვიგებთ, სამომავლოდ შინდისის გმირის სახელობის ყოველწლიური ტურნირის გაფართოება იგეგმება.

ავთანდილ ხუმარაშვილი (სპორტის და ახალგაზრდობის ცენტრის უფროსი): „ვინაიდან შინდისის გმირი ამ სოფლიდან იყო, მოსახლეობის ინიციატივით რამდენიმე წელია ყოველწლიურად ტარდება ეს ტურნირი. სიმბოლურია, რომ თარიღიც აუცილებლად აგვისტოს პირველ რიცხვებს ემთხვევა. დედოფლისწყაროს სპორტის ცენტრი ყველანაირად ცდილობს მათ ხელი შეუწყოს. გარდამავალი თასია დაწესებული, დიპლომები და პრიზები ჩავიტანეთ. ეს სოფლის პირველობაა, მაგრამ სამომავლო გეგმებს რაც შეეხება, დიდი სურვილი გვაქვს, რომ რაიონული მასშტაბის ტურნირი გახდეს. შემდეგში შედარებით ფართო მასშტაბით უნდა ჩავატაროთ, რაიონის სხვა გუნდებიც ჩაერთვებიან და ვფიქრობ, უფრო წარმომადგენლობითი გახდება. უკვე დავდეთ პირობა, რომ სხვა აქტივობები კიდევ დაიგეგმება. ეს მოხალისეები ინტენსიურ ვარჯიშს გააგრძელებენ ფეხბურთში და სამომავლოდ სხვა შეჯიბრებებზეც წამოვლენ. ამ ტურნირზე დიპლომებით დაჯილდოვდნენ საუკეთესო მეკარე და საუკეთესო ბომბარდირი. აგრეთვე სხვადასხვა კატეგორიები გამოვლინდა. ნიშანდობლივი იყო ისიც, რომ თავად გამარჯვებულმა გუნდმა საუკეთესო მოთამაშის კატეგორიებში მოწინააღმდეგე გუნდის წარმომადგენლები დაასახელა“.

ვიტალი სურმანიძე (გამარჯვებული გუნდის კაპიტანი): „ფინალში მოხვდა გუნდები „მარნის უბანი“ და „შუა ქუჩა“, შემდეგ უკვე ჩვენ გავიმარჯვეთ და რა თქმა უნდა გახარებულები ვართ. ამჟამად უკვე მესამე გზის ჩემპიონები გავხდით. სიმართლე გითხრათ, ჩემი გუნდის იმედი ნამდვილად მქონდა, რადგან დიდხანს ვემზადებოდით და მზად ვიყავით. თეიმურაზ ბერიძეს ყველა დიდ პატივს ვცემდით და ამიტომაც ბევრი ცდილობს ჩაერთოს ამ შეჯიბრებაში. ძირითადად ახალგაზრდების დაწესებულია ეს ტურნირი და მიხარია, რომ ამჯერადაც გამარჯვება დავაფიქსირეთ“.

შინდისის გმირების ისტორიაზე, რომელიც გულგრილს არავის ტოვებს, ამჯერად აღარ შევჩერდებით, ამაზე მრავალჯერ დაწერილა და კიდევ ბევრჯერ დაიწერება, მაგრამ საინტერესოა, რომ თეიმურაზ ბერიძე მცირეწლოვანი შვილის ჯანმრთელობის მდგომარეობამ აიძულა საკონტრაქტო სამსახურში წასულიყო.

„ბიჭი წლინახევრის იყო, წნევამ რომ დაარტყა და მეტყველება წაერთვა. მეუღლე ჯარში კონტრაქტზე წავიდა, ბავშვის სამკურნალოდ ფული გვჭირდებოდა. იძახდა, რომ დამთავრდება კონტრაქტი კიდევ უნდა გავაგრძელოო. სანამ ომი დაიწყებოდა ქობულეთში ვისვენებდით, სენაკიდან ჩამოდიოდა ხოლმე. ბოლოს 7 აგვისტოს გავაცილე. შემობრუნდა ორჯერ, ბავშვებს აკოცა, გვითხრა, ორ დღეში შვებულებას ავიღებ და სოფელში წავიდეთო. იმის შემდეგ თვალით აღარ მინახავს“... - იხსენებს გმირის მეუღლე.

უნდა ითქვას, რომ ერთი შეხედვით მცირე მასშტაბის ტურნირმა, რომელიც მხოლოდდამხოლოდ სოფლის პირველობა იყო, საზღვრისპირა სოფელი ძალზე გამოაცოცხლა. არც გულშემატკივართა სიმცირე შეინიშნებოდა, რაც კიდევ ერთხელ მიანიშნებდა იმაზე, რომ სოფლების გამოსაცოცხლებლად და ასახმაურებლად მცირე მიზეზიც საკმარისია.

შემდეგ კი, შებინდებისას, ქართული ტრადიციების მიხედვით, დაიკლა ცხვარი, ისტორიული ჰერეთის ულამაზეს ხედზე სუფრაც გაიშალა და თეიმურაზ ბერიძესთან ერთად ყველა იმ გმირის ხსოვნის სადღეგრძელო შეისვა, რომელთაც ჩვენი ქვეყნის ერთიანობას სიცოცხლე შესწირეს და მიწა-წყალი დღემდე შემოგვინახეს.

ილია მარტყოფლიშვილი

რთველი 2016 დაიწყო

რთველი 2016 დაიწყო. სამთაწყარო ის ერთადერთი წერტილია საქართველოში, სადაც ყურძნის პირველი მარცვლები ადრიანად იწევა, ამიტომ რთველს დედოფლისწყაროდან, კერძოდ კი ჩვენი მუნიციპალიტეტის ტერიტორიებში შემავალ ალაზნისპირეთში იწყებენ. როგორია წლევანდელი წინასართვლო განწყობა და რამდენად მომზადებული ხვდება ხალხი ამ სეზონის რთველს, ამასთან დაკავშირებით ჩვენ რამდენიმე ადამიანს გავესაუბრეთ.

ნიკოლოზ ბენიაიძე, მეღვინე, დედოფლისწყაროს წარმატებული მეწარმე: წელს ცუდი წელი მაქვს, მსხმოიარე ყურძენი ზედვე გამიფუჭდა და არ ველი კარგ მოსავალს, ბიო მიმართულება ავირჩიე და კონტაქტურმა პრეპარატებმა ვერ უშველა, ცუდი ამინდები იყო, რამაც ხელი შუწყო სოკოვანი დაავადებების განვითარებამ და მთლიანად გააფუჭა მოსავალი.

გიორგი კიკილაშვილი, მეღვინე, შპს. „ზედაშეს“ დირექტორი: ჩემი ქარხანა შპს. „ზედაშე“ ყველანაირ მზადყოფნაშია და შეგვიძლია, მივიღოთ 100 ტონა რქაწითელი, რაც შეხება დანარჩენ მოსავალს, სახელმწიფოს მიერ აკურის ქარხანასთან არის დადებული ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც ქარხანა ჩვენს მევენახეებს გადაუმუშავებს 600 ტონა საფერავს. სუბსიდია რქაწითლზე არის 45 თეთრი, ხოლო საფერავზე 20 თეთრი. დღეს დაიწყო რთველი სამთაწყაროში და ჯერ არცერთი მანქანა არ შემოსულა ჩემს ქარხანაში, ველოდებით პირველ შემოსულ მანქანას. დაველოდოთ რა იქნება და როგორ.

ნიკოლოზ ჯანიაშვილი, მუნიციპალიტეტის გამგებელი: სამშაბათს უკვე გაიხსნა შტაბი თელავში, 25 აგვისტოს რთველი დაიწყო ფიროსმანში, ჩვენც მომზადებულები ვართ, ნამყოფები ვართ ვენახებში, შემოწმებული გვაქვს ყურძნის სიტკბო, ფიროსმანმა გუშინწინ ორი მანქანა მუსკატი გაიტანა, დღეს ოთხი მანქანა დაკრიფეს და ხვალ ალბათ დაამთავრებენ. სულ დაახლოებით რაიონში ველოდებით 2500-2700 ტონა ყურძნის მოსავალს. დედოფლისწყაროში მოქმედებს სახელმწიფო ღვინის ქარხანა და ასევე წნორის ღვისნის ქარხანაც მზადაა მიიღოს ყუძენი, მოქმედებს და ამას ემატება კერძო ღვინის ჩამბარებელი პუნქტები. არცერთი მტევანი ყურძენი არ დარჩება ჩაუბარებელი და აუთვისებელი. სავარაუდო ფასი

საფერავზე სუბსიდიიანად 1 ლარია, ხოლო რქაწითელზე 80 თეთრია, წლევანდელი წელი რაც უფრო კარგი იყო ხორბლისთვის და ქერისთვის, ამდენად ცუდი გახლდათ ყურძნის მოსავლისთვის, თუმცა, რაც არის უფალს არ ვემდურით.

ლალი მეხრიშვილი

აბრეშუმის მუზეუმის იდუმალება და ინტერვიუ მარინა გონაშვილთან

თბილისში, ცაბაძის N6-ში, მუშტაიდის პარკსა და დინამო-არენას ცენტრალურ შესასვლელთან ახლოს მდებარეობს წითლი აგურის ლამაზი შენობა ყვავილებიანი ბაღით. ალბათ ბევრმა არც იცის, რომ ეს აბრეშუმის სახელმწიფო მუზეუმის შენობა-ნაგებობა გახლავთ, რომელიც საკმაოდ საინტერესო კულტურას ინახავს. მუზეუმს ყოველწლიურად რამდენიმე ათასობით ტურისტი და დამთვალიერებელი ჰყავს. აბრეშუმის მუზეუმის კოლექციებს შორის პეპლების კოლექცია ერთ-ერთი ყველაზე ძველია, რომელიც მუზეუმის შექმნის თანადროულია და მისი ძირითადი ნაწილი თარიღდება XIX საუკუნის ბოლოთი და XX საუკუნის დასაწყისით. ამჟამად კოლექციაში დაცულია პეპლის 314 ეგზემპლარი. ღამის პეპლების კვირეული ყოველწლიურად აღინიშნება მსოფლიოს მასშტაბით, რომელსაც საქართველოს აბრეშუმის მუზეუმიც უერთდება და საცავებს ხსნის. საინტერესოა, რომ, უკვე წლებია, ამ ერთობ დელიკატური მუზეუმის თანამშრომელი ჩვენი რაიონის შვილი, დედოფლისწყაროში აღზრდილი მარინა გონაშვილია. მარინა, უკვე 14 წელია, აბრეშუმის მუზეუმში მუშაობს და საკმაოდ მაღალი პროფესიონალიზმით გამოირჩვა. იგი უღრესად განათლებული და სათუთი გულის ქალბატონია და რომ არა მისი ასეთი შინაგანი ბუნება, ალბათ ასეთი ორიგინალური მუზეუმის თანამშრომლადაც ვერ იმუშავებდა. გთავაზობთ **მარინა გონაშვილთან** შემდგარ ინტერვიუს.

მინი დოსიე: მარინა გონაშვილი დაიბადა 1972 წლის 11 თებერვალს. დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი ფილოლოგის სპეციალობით. მამა ივანე გონაშვილი პროფესიით მშენებელია, დედა ნიაზი პაპუაშვილი ბაღის ღვაწლმოსილი პედაგოგი გახლავთ. 1990-1996 წ.წ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ფილოლოგიის ფაკულტეტი. სპეციალობა - ქართული ენა და ლიტერატურა. 1997-2001წლებში დედოფლისწყაროს რაიონის სამხედრო კომისარიატი, IV ქვეგანყოფილების წამყვანი სპეციალისტი. 1995-1996 წლებში ქ. რუსთავის №5 საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი. 2001 - 2002 წლებში საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს საორგანიზაციო სამსახურის მოწვეული სპეციალისტი. 2002 წლიდან დღემდე აბრეშუმის სახელმწიფო მუზეუმის ფონდის მცველ-კურატორი. 2015 წელს გაიარა ტრენინგი „მეაბრეშუმეობის წარმოება და მართვა განვითარებადი ქვეყნებისთვის“, სამხრეთ ჩინეთის აგრარულ უნივერსიტეტში, გუანჭოუში, 2015-2016 წლებში მარინა გონაშვილი აბრეშუმის მუზეუმში განხორციელებული ზრდასრულთა პროექტის „შეინარჩუნე ელვარება“ თეორიული კურსის ტრენერია. მარინა გონაშვილი დასაოჯახებელია, მაგრამ მისი ოჯახი საკმაოდ დიდია, ჰყავს ძმა, რძალი და ძმისშვილები, რომლებიც უკვე წლებია, ავსტრიაში ცხოვრობენ და მოღვაწეობენ.

-მარინა როგორ მოხდა თქვენი პირველი კავშირი მუზეუმთან?

- ზოგადად, პირველი შეხება, კავშირი მუზეუმთან ფიროსმანის მუზეუმს უკავშირდება, მამა, ივანე ანდრიას ძე გონაშვილი, მშენებელი იყო, მრავალი მშენებლობისთვის უხელმძღვანელია და მათ შორის ჩემთვის გამორჩეული და საამაყო სოფელ მირზაანში ფიროსმანის სახლ-მუზეუმის მშენებლობა-რეაბილიტაცია აღმოჩნდა. მამის და პაპის (არსენა გონაშვილი, ისიც იმ მშენებლობაზე მუშაობდა) წყალობით მუზეუმის მშენებლობაზე ხშირად მოვხვედრილვართ მე და ჩემი ძმა, რომელმაც შემდეგ, პროფესიის არჩევისას სწორედ მშენებელ-ინჟინრობა აირჩია. ვათვალიერებდი და ვეცნობოდი ფიროსმანის სახლს, მისი ოჯახის წევრების ნივთებს, ნიკალას ორიგინალებს, თვითნაბადი ხელოვანის უნიკალურ ტილოებს და ვიყავი ამაყი, რომ ჩემს ძარღვებშიც იყო ფიროსმანაშვილების წილი სისხლი, ბებია - მარიამ ფიროსმანაშვილი, არანაკლები შემოქმედი იყო თავისი პროფესიით – ქარგვით, ქსოვით, კერვით შეეძლო ნატიფი საგნების შექმნა, დღესაც გვაქვს შემორჩენილი მისი ხელსაქმის ნიმუშები... დედა, ნიაზი პაპუაშვილი საბავშვო ბაღში აღმზრდელად მუშაობდა, ჩვენც მისი აღსაზრდელები ვიყავით, თუმცა, ხანდახან უფლებას გვაძლევდა, გაგვეცდინა „დედას ბაღი“ და მამას გავყოლოდით თავის სამსახურში. ბავშვები უფროსების საქმეს შორიდან ვუყურებდით და წარუშლელ მოგონებად დამრჩა თუნდაც ის ერთი შეკრება მშენებლებისა სადილზე შესვენებისას, როცა მუზეუმის ეზოში განმარტოებით მდგარი საუკუნოვანი აკაკის ჩრდილში მეც მიმიწვიეს და დღემდე დაუვიწყარია იქ გასინჯული შოკოლადიანი კარაქის გემო.

-რა გახსენდებათ ყველაზე ხშირად მოსწავლე-ახალგაზრდობის წლების მოგონებებიდან რა დაგრჩათ ყველაზე შთამბეჭდავად?

-ჩემს მეხსიერებაში დარჩენილი სკოლის წლებიდან დამამთავრებელი, მაღალი კლასებია, როცა ეროვნული მოძრაობა აქტიურდებოდა და ჩვენს ყურამდე და გონებამდე აღწევდა ჩვენი ქვეყნისთვის ის საჭირბოროტოდ მნიშვნელოვანი საკითხები, რომელთა გადაწყვეტა არც ისე იოლი იყო მაშინდელი მთავრობისათვის, მით უფრო საზოგადოების თანადგომის გარეშე. რამდენიმე საკითხი, მათ შორის ხუდონჰესის მშენებლობის შეჩერება, დავით გარეჯთან ახლოს არსებული სამხედრო-საცდელი პოლიგონის დახურვა (მისი მოქმედება საფრთხეს უქმნიდა დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის არსებობას, ინვევდა ბზარების გაჩენას და აზიანებდა უნიკალურ ფრესკებს), და მესამე, აბრეშუმის მუზეუმის ყოფნა-არყოფნის საკითხის გადაწყვეტა გამხდარიყო გასული საუკუნის 80-იანი წლების მიწურულს აქტუალური, რომელიც საზოგადოების თანადგომას მოითხოვდა; სამივე საკითხი იმ დროისათვის კეთილად გადაწყდა - შეჩერდა ხუდონჰესის მშენებლობა, დაიხურა პოლიგონი, შეწყდა საფრთხის შემცველი სამხედრო-სასწავლო წვრთნები, და აბრეშუმის მუზეუმმაც გააგრძელა არსებობა. ამ პროცესებში ჩვენი წვლილი თანადგომა მათ მხარდამჭერ აქციაზე ყოფნით ჩვენებურად გამოვხატეთ და დავით გარეჯში მყოფ სტუდენტებს ერთი დღით ჩვენც შევუერთდით, მხარში დავუდექით, გავამხნევეთ... საკუთარი თვალით გვინდოდა გვენახა ჩვენი ერის კულტურის ის ნაწილი, რომელიც ასე უმოწყალოდ ნადგურდებოდა რუსი სამხედროების წვრთნების გამო...

ჩვენი გადაწყვეტილება - მოგვენახულებინა და უკეთ გავცნობოდით ყველა იმ ადგილს, ჩვენი იქ ყოფნით დაგვედასტურებინა თანადგომა და მხარდაჭერა, ბოლომდე ვერ შევასრულეთ აბრეშუმის მუზეუმის შემთხვევაში, მისი ნახვა და დათვალიერება ვერ შევძელით, გავიგეთ, რომ იმ დროს დაკეტილი იყო. მაგრამ, სად მდებარეობდა, მაშინ არ ვიცოდი; თუმცა, ვიცოდი ერთი ლამაზი შენობის არსებობა. რამდენჯერაც "დინამოს" სტადიონთან, მუშტაიდის ბაღთან გავლილიდი, დავინახავდი გამორჩეული არქიტექტურული სტილით ნაგებ აგურის შენობას, იმდენჯერ კითხვა მიჩნდებოდა რა იყო იმ შენობაში, წინ რომ ცად აზიდული კვიპარისების რკალი ფარავდა, მით უფრო იმ დროისათვის გარედან წარწერაც არ ჰქონდა, იქ შესული ან გამოსულიც არავინ მენახა და ამდენად სამართლიანად ტოვებდა იდუმალ და შეუცნობ შთაბეჭდილებას. და აი, შემოდგომის ერთ მშვენიერ დღეს აღმოვაჩინე, რომ ეს ის შენობაა, სადაც ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლეს მინდოდა მოხვედრა, ეს ის შენობაა, რომელიც ამდენ კითხვას მიჩენდა მის გვერდით ჩავლისას, ეს ის შენობაა, სადაც ერთხელ თუ მოხვდები მის დარბაზებში აღარასოდეს დაგავიწყდება.

შესვლისთანავე ლათინურად მომესალმა აბრეშუმის მუზეუმი - SALVE და მუზეუმისთვის ჩვეული სიმშვიდით, იდუმალებით, მომნუსხველი სითბოთი შემეგება... ამ კავშირს დღემდე ვგრძნობ და ვუფრთხილდები იმისათვის, რომ მომავალ თაობებსაც ჰქონდეთ შესაძლებლობა ერის კულტურის ამ ნაწილით სამართლიანად იამაყონ, გაუფრთხილდნენ და თუნდაც მცირედი კიდევ შემატონ მის უნიკალურ კოლექციებს.

- რას იყტვით აბრეშუმის მუზეუმის დღევანდელობაზე, რა საგანძურს ინახავს ის და რა ეტაპზეა მუზეუმის განვითარება დღეს არსებული ვითარებით?

- როგორც ცნობილია, აბრეშუმის პეპელა ღამის პეპელაა და აქედან გამომდინარე, აბრეშუმის სახელმწიფო მუზეუმი ღამის პეპლების საინტერესო კოლექციას ფლობს, რომლის ნაწილი აღდგენილია.

წელს აბრეშუმის მუზეუმი შეუერთდა ღამის პეპლების კვირეულს და დროებით გახსნა საცავის კარი, რათა დამთვალიერებლებს საშუალება ჰქონოდათ მოენახულებინათ ღამის პეპლების უნიკალური კოლექცია. საქართველოში დაარსებულ მუზეუმებს შორის აბრეშუმის მუზეუმი ერთ-ერთი უძველესია (მე-19 საუკუნის 80-იან წლებში, უფრო ზუსტად 1887 წ.), საგანგებოდ აბრეშუმის მუზეუმისთვის აგებულ შენობაში თავმოყრილია და დაცულია ყველა ის ექსპონატი, რაც შეიძლება უკავშირდებოდეს აბრეშუმს - თუთის თესლიდან დაწყებული ქსოვილის მზა ნაწარმის ჩათვლით, ავეჯიც შენობის არქიტექტორის, ალექსანდრე შიმკევიჩის ესკიზების მიხედვითაა შექმნილი მუზეუმის და ბიბლიოთეკის დარბაზებისთვის, სპეციალურად იმ ექსპონატებისთვის, რომელიც მუზეუმშია დაცული; მუზეუმის კოლექციებიც მსოფლიოს მრავალი მეაბრეშუმე ქვეყნიდან არის შემოსული, ძირითადად, მე-19 საუკუნეში. რასაკვირველია, ექსპონატებით შევსება ხდება ახლაც, მაგალითად, მაქმანის ნიმუშებს ველოდებით აშშ-დან, იმ საწარმოდან, საიდანც გვაქვს მაქმანები - პირველი მანუფაქტურული მანქანური ტექნოლოგიით დამზადებული ნიმუშები გერმანიაში, ქალაქ მიუნხენში, "როზა კლაუბერის საწარმო", რომელიც შემდეგ შტატებში გადავიდა და იქ განაგრძო მუშაობა. ჩვენ აღმოვაჩინეთ ეს საწარმო, გვაქვს კონტაქტი და ახლა ახალ ნიმუშსაც ველოდებით, თვის ბოლოს მივიღებთ, სულ ახალი ამბავია. ჩვენს მუზეუმში დაცულია უნიკალური კოლექციები - აბრეშუმის პარკის, აბრეშუმხვევიას (აბრეშუმის ჭიის) ბიოლოგიის, ეთნოგრაფიის, თუთის ხის, საღებავების, ხელნაკეთი და ჟაკარდული ქსოვილის ნიმუშები გამოგვარჩევს ევროპასა თუ აზიაში სხვა ტექსტილის და აბრეშუმის მუზეუმებისგან, რაც ნამდვილად საამაყოა ჩვენი მუზეუმისთვისაც და ქვეყნისთვისაც.

-აბბობენ, ქვეყნის კულტურა სრულყოფილად ასახული მუზეუმებში უნდა ეძიოო!

-ვეთანხმები, მეამაყება, რომ მაქვს შანსი, უცხოეთიდან ჩამოსულ ჩემს მონატრებულ ძმიშვილებს - ანდრიას და ნინოს ვუმასპინძლო მუზეუმში, არ დავავიწყო ქართული კულტურა, ენა და ის სითბო, სიკეთე, რაც საქართველოსთან მჭიდროდ უნდა აკავშირებდეთ. იქ, ავსტრიაში, საკვირაო სკოლაში არაჩვეულებრივი პედაგოგები, ოჯახში კი მოსიყვარულე მშობლები - გიორგი და სოფო ზრუნავენ მათ ღირსეულ მოქალაქეებად ჩამოყალიბებაზე.

-ცოტა რამ თქვენს შესახებაც გაგვიმხილეთ, რა გაღიზიანებთ ყველაზე მეტად ადამიანის საქციელში?

- სიხარბე, ამპარტავნება, ზღვარგადასული, შეუსაბამო ამბიცია, გამოთქმა - ეს ქალის საქმე არ არის! ვინ გაყო კაცის და ქალის საქმე... თუ საქმე აუცილებლად გასაკეთებელია და ვხედავ, რომ შემიძლია მისი გაკეთება, რატომ უნდა დაველოდო ან დავუძახო კაცს, რომელმაც, შესაძლოა, ჩემზე კარგად ვერც გააკეთოს... ამ ფრაზის მოსმენის შემდეგ უფრო მიმძაფრდება სურვილი, თავად შევეჭიდო ე.წ. მამაკაცურ საქმეს.

- რას აფასებთ ადამიანში, შრომისმოყვარეობას, გულწრფელობას თუ განათლებას?

- ადამიანის ერთი სიცოცხლე არ არის საკმარისი ერთი პროფესიის სრულყოფილად დასაუფლებლად, თუმცა არც ისე ცოტაა იმისათვის, რომ ერთის გარდა რამდენიმე მისთვის საინტერესო საქმეს მოკიდოს ხელი და თავისი შრომისმოყვარეობით დასახული მიზნისკენ თუნდაც მრავალი სირთულის და დაბრკოლების მიუხედავად, მთელი მონდომებით გააგრძელოს სვლა და წარმატებაც აუცილებლად მოვა.

- უამრავ სილამაზესთან გიწევთ შეხვედრა, იქიდან გამომდინარე, რომ სამსახური გაქვთ ასეთი. რას იტყვით ამაზე? „სილამაზე ყოველთვის არის, რაღაც მოსწრებული, მაგრამ არ ვიცი კი, თუ სახელდობრ რა!“ თქვენი აზრით რა არის სილამაზე?

-სილამაზე, შესაძლოა, წარმავალია, მაგრამ ის ისეთ ემოციებს, შთაბეჭდილებებს აღძრავს, რომელიც არასოდეს დაგავიწყდება, არასოდეს გახუნდება შენს მესხიერებაში.

- „ნამდვილ მშვენიერებას არ შეუძლია არსებობა სიკეთის გარეშე!“-რას ფიქრობთ ამაზე?

- მეც ასე ვფიქრობ... სხვაგვარად არც მზეს ექნება ის სითბო, რაც აქვს და რასაც ჩვენთვის გასცემს, არც დღეს ექნება ის სინათლე, რათა უკეთესად შევძლოთ კარგის ავისგან გარჩევა, არც დედამიწა იბრუნებდა ასე და წარმოშობდა იმ საოცარ სამყაროს, რასთან შეხებაც ჩვენ ყოველდღიურად გვიხდება... მოკლედ, მშვენიერი დიზაინერია ბუნება და გარესამყარო, ჩვენ თუ არ შევუშალეთ ხელი.

- უამრავ ქვეყანაში გიმოგზაურიათ, უამრავი ქვეყნის ტურისტებისთვის გიმასპინძლიათ, როგორია თქვენი შეფასებები და შთაბეჭდილებები მსოფლიოს ხალხისა და ქართველების კულტურისადმი დამოკიდებულებაზე?

- მართლაც გამორჩეული და განსხვავებული თვისებების და კულტურის მატარებელი უძველესი ერი ვართ, როცა გეოგრაფიულადაც დედამიწის ისეთ ადგილზე - ევროპისა და აზიის გადაკვეთაზე მდებარეობს საქართველო, არც შეიძლებოდა, ჩემი აზრით, სხვაგვარი ზნე-ჩვეულება, ადათ-წესი თუ ტრადიცია გვქონოდა. თუმცა, მე მაინც მგონია, რომ უამრავი რამ გვაქვს სასწავლი და დასახვეწი ჩვენს თვისებებში იმისათვის, რომ ევროპის წარმატებულ ქვეყნად ჩამოვყალიბდეთ. საკუთარი საქმის ერთგულად მსახური, ტრადიციების დამცველი და შემნახველი უნდა გავხდეთ კიდევ უფრო მეტად. გაჭირვებულისადმი შეძლებისდაგვარად თანადგომა-დახმარება, სხვისი სიკეთით უშურველად გახარება უფრო გაგვაძლიერებს, ლამაზს, მიმზიდველს და საჭიროს გახდის საკუთარ ცხოვრებასაც და გარესამყაროსაც. ჩვენი ქვეყნის მატერიალური, თუ არამატერიალური კულტურის წარმოჩენით, დაცვითა და პოპულარიზაციით კი, შეგვიძლია, მსოფლიოს მრავალი ერი დავაინტერესოთ, მოვხიბლოთ, გავაცნოთ და შევაყვაროთ საქართველო.

- მადლობა მინდა გადაგიხადოთ ამ საუბრისთვის.

- მარიამობის ბრწყინველე დღესასწაული მოდის, დედაღთისმშობლის კალთა ფარავდეს "შირაქის" მკითხველს და მთლიანად საქართველოს.

ლალი მეხრიშვილი

უახლოესი მეზობლები: ლამარა, ნანა ჭიჭინაძეები, მარიკა პოპიაშვილი, გია, გოჩა ნიკვაშვილები, ნატო, კუკური, რამაზი, ინგა გოგობერიშვილები ღრმა მწუხარებით იუწყებიან

ლამარა მენთეშაშვილის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ ქეთინო და დათო შანშაშვილებს დედის გარდაცვალების გამო.

ოზაანის საჯარო სკოლის დირექცია და პედკოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა მათი სკოლის პედაგოგი

მაია ოზაშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსხვენებულის ოჯახს.

ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატის სასწაულები

მადლიერებით ვადიდებთ ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს იმ გამოუთქმელი წყალობის გამო, რომელიც მან მოგვმადლა თავისი ყოვლადწმიდა ხატის მეშვეობით: „გიხაროდენ, რომელმან მოგვანიჭე ჩვენ წმიდა ხატი შენი... გიხაროდენ, რომელმან მფარველობა მისი აღვითქუ... გიხაროდენ, რომელმან ნიჭი საკვირველებათანი მიანიჭე მას...“ მრავალი საოცრება და ქველისმოქმედება აქვს ჩადენილი ივერთა სავანეში ღმრთისმშობელს თავისი ხატის პატივისცემით. იმდენად ბევრი, რომ შეუძლებელია, აქ ჩამოვთვალოთ ყველა მათგანი. დაწვრილებით გადმოცემებს მათ შესახებ ინახავს მონასტრის მატიანე.

* * *

ერთ დროს მონასტერი ისე გაღარიბდა, რომ ფქვილიც კი არ გააჩნდა. ყოვლადუბიწო ძილში გამოცხადებია ღრმად დამწუხრებულ წინამძღვარს და უთქვამს: „რად სწუხარ, შვილო, ფქვილის უქონლობის გამო? წადი და იხილე სავსე ბეღელი, რათა დარწმუნდე თქვენდამი ჩემს მზრუნველობაში“. წამოდგა წინამძღვარი, მიაშურა ბეღელს და იხილა, რომ იგი პირთამდე სავსე იყო ფქვილით. მაშინვე უხმო ძმებს და უამბო მომხდარი ამბის შესახებ. გაოცებულმა და სიხარულისგან გულაჩუყებულმა ბერებმა ერთხმად განადიდეს უფალი და მარადის ქალწული. სხვა დროს ღვინო შემოჰკლებიათ; წმიდა დედოფალმა ისე გაავსო ყველა ჭურჭელი, რომ ღვინო ძირს იღვრებოდა. ისეთი სასიამოვნო და გემრიელი იყო, რომ ყველა დარწმუნდა, იგი სასწაულებრივი იყო და არა ბუნებრივი. ერთხელ კიდევ ზეთისხილითა და ოსპით აავსო მონასტერი. სავანის კარიბჭესთან დავანებული საკვირველთმოქმედი ხატი ხშირად არ უშვებდა მონასტერში ისეთ ადამიანებს, რომლებსაც მძიმე, მოუნანიებელი ცოდვა ჰქონდათ სულში, და როცა ზოგიერთი მათგანი ფარულად ცდილობდა სავანეში შესვლას, უსულოდ ეცემოდა მიწაზე.

* * *

წარსულში ეგეოსის ზღვა მეკობრეთა სიმრავლით იყო განთქმული. მონასტერზე მათი ერთ-ერთი თავდასხმის დროს არაბმა მეკობრემ შუბით ჭრილობა მიაყენა ივერიის ღმრთისმშობლის ხატს, საიდანაც მეყსეულად სისხლმა იფეთქა. თავზარდაცემულმა შეინანა თავისი დანაშაული ღმრთისმშობლის წინაშე, იწამა მისი ძე და მოინათლა. აქვე დარჩა და მცირე ხანში ბერადაც აღიკვეცა. იგი მთელი სიცოცხლის მანძილზე ტირილით ევედრებოდა მამებს, რომ მისთვის ბერობის სახელი დამასკინოსი კი არ ეწოდებინათ, არამედ - „ბარბაროსი“. დაყუდებული ცხოვრებით იგი სიწმინდეს მიემთხვია, და ახლა წმიდა ბარბაროსი ივერიის ღვთისმშობლის ტაძარშია დახატული - შავი, როგორც მოსე ეთიოპელი და ხელთ პირვანდელი საჭურველი უპყრია: მახვილი, ისარი და მშვილდი.

* * *

1308 წელს ივერთა მონასტერი სასტიკად დაარბიეს სპარსელებმა, რომლებიც მიუახლოვდნენ ათონის მთას 15 ხომალდით და ალყა შემოარტყეს ივერთა მონასტერს. უსჯულოთა სიმრავლით შეშინებულმა ბერებმა გამოიტანეს ტაძრებიდან წმინდა ჭურჭელი, მათთან ერთად კარიბჭის ხატიც და ციხე-კოშკს შეაფარეს თავი. მონასტერში შემოჭრილმა სპარსელებმა იწყეს სავანის უმოწყალო ძარცვა და მთავარი ტაძრის გუმბათის ჩამონგრევაც მოიწადინეს. ამ მიზნით გუმბათის შემკავებელ მარმარილოს სვეტებს მათ თოკები გამოაბეს და გამხეცებულნი ეწეოდნენ, მაგრამ ტაძარს ვერაფერი დააკლეს. ამის მხილველმა ბერებმა გულის სიღრმიდან ცრემლით ღაღადჰყვეს ზეციური დედოფლისადმი და მანაც, ყოვლადძლიერმა, არ უგულებელჰყო მათი ვედრება. ვერ მოასწრეს მონასტრის საუნჯით დატვირთულმა ხომალდებმა ნაპირისგან მოშორება, რომ ამოვარდა სასტიკი ქარიშხალი და მთელი ფლოტი ზღვის უფსკრულში დაინთქა. გადარჩა მხოლოდ ის გემი, რომელზეც იმყოფებოდა სპარსთა მეთაური - ამირა. მან ეს უბედურება სავანის გაძარცვისათვის მოვლენილ ღმრთის სამართლიან რისხვად აღიარა, შენდობა და ღმრთის წინაშე მეოხება სთხოვა მამებს, დაუბრუნა მონასტერს ნაძარცვი ქონება და თვითონ გაიქცა შეძრწუნებული.

* * *

ალექსი კომნენოსის მეფობის დროს ათონის მთის ყველა ბერძნული მონასტერი დაცარიელდა რაღაც მავნე მწერების შემოსევის გამო. ზეციური მეკარის - ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის შეწევნით ქართველ მამებს არ მიუტოვებიათ მონასტერი და ძველებურად განაგრძობდნენ ცხოვრებას, როგორც გვიამბობს მემატიანე.

* * *

ერთხელ, ნაშუადღევს, მთელი დღის ხეტიალის შემდეგ ივერთა სავანეს მიადგა მწირი და მონასტრის მსახურს ცოტაოდენი პური სთხოვა. ივერთა მონასტერი ძველთაგანვე სტუმართმოყვარეობით გამოირჩეოდა. ყოველი კვირის ოთხშაბათსა და პარასკევს კარიბჭესთან სტუმრებისათვის პური და ზეთისხილი გამოჰქონდათ, ხოლო დანარჩენ დღეებში - პური და ყველი. მაგრამ მაშინ მსახურმა რატომღაც უარი უთხრა სტუმარს დაპურებაზე. გაწბილებული, მშიერი და მწუხარებით აღვსილი მწირი კარიეისიკენ გაემართა. მონასტერთან მოშორებით ერთ ქვაზე ჩამოჯდა დასასავენებლად, მაგრამ გულნატკენმა თავი ვეღარ შეიკავა და ატირდა. ზუსტად ამ დროს ადამიანის ფეხის ხმა შემოესმა, თავი ძლივს აწია და დაინახა უმშვენიერესი ქალი ყრმით ხელში, რომელიც მიუახლოვდა მას და სანდომიანი სახითა და ტკბილი ხმით უთხრა: „რა დაგემართა, რად სტირი? ავად ხომ არა ხარ?“ „არა, - მიუგო მოგზაურმა, - ავად არა ვარ, მშია. ივერთა მონასტრის დარაჯს ცოტაოდენი პური ვთხოვე და არ მომცა“. მაშინ ქალმა მიუგო: „ნუ ბრაზობ, შვილო, ჩემი მონასტრის დარაჯზე, რამეთუ მე ვარ ივერთა სავანის დარაჯი. აიღე ეს მონეტა, დაბრუნდი მონასტერში და იყიდე პური. მე კი აქ დაგელოდები“.

მწირი მაშინვე გაეშურა მონასტრისაკენ, იპოვა დარაჯი და სთხოვა პური მიეყიდა, და ხელში მონეტა ჩაუდო, რომელიც მისი თქმით ვიღაც ქალმა აჩუქა. ქალის ხსენებამ დარაჯი შეაშფოთა და საგონებელში ჩააგდო, მაგრამ მონეტის დანახვამ ეჭვი გაუფანტა და მიხვდა, რომ სასწაული ხდებოდა. სასწრაფოდ ზარები დარეკა, რათა მამები შეეკრიბა და მათთვის მომხდარი ამბავი ეცნობებინა. მამებმა მოისმინეს ეს საკვირველი ამბავი და განცვიფრდნენ. დაადგინეს, რომ მწირის მიერ მოტანილი ოქროს მონეტა კარიბჭის ღვთისმშობლისადმი შენაწირი იყო და დიდი რუდუნებით კვლავ წმიდა ხატთან დაასვენეს. ამის შემდეგ ყველანი დაუყოვნებლივ აღნიშნულ ადგილზე მივიდნენ, მაგრამ იქ ვეღარავინ იპოვეს. სასწაულის სამახსოვროდ მამებმა გამოცხადების ადგილას დააყენეს პატარა სალოცავი. 1960 წელს კი ივერთა მონასტრის ბერ-მონაზონმა მაქსიმემ, რომელიც ტრაპიზონიდან იყო წარმოშობით, თავისი ხარჯებით მშვენიერი სამლოცველო ააგო ამ ადგილზე ივერიის ღმრთისმშობლის პატივსაცემად და მას წლების მანძილზე ემსახურებოდა. ეს სამლოცველო ლამაზი ფრესკებით არის დამშვენებული.

* * *

ვინაიდან მონასტრის მკვიდრნი ხარჯებს უფრთხილდებოდნენ, შეწყვიტეს სტუმრების მიღება და მათთვის ჩვეული სტუმარმასპინძლობა უარყვეს. საჭირო იყო, რათა მომხდარიყო ახალი სასწაული. ამიტომაც პური და ოსპი გაფუჭდა საწყობში, ღვინო და ზეთისხილი კი ერთიანად განადგურდა. ამ უცნაური ამბით შეშფოთებული ბერები ცრემლებით ევედრებოდნენ ღმრთისმშობელს, წყალობა მოეღო მათზე. შეიწყნარა მათი მუდარა მრავალმოწყალემ და მისი მადლით კვლავ უხილავად აივსო დაცარიელებული ჭურჭელი.

* * *

XVIII საუკუნეში ათონის მთა მოილოცა მეუფე ტიმოთე გაბაშვილმა. ივერთა მონასტერში, ერთ ადგილას მას ხანძრის კვალი შეუნიშნავს და მიზეზი უკითხავს. მისთვის განუმარტავთ: ამ ორი წლის წინათ, ერთმა ბერმა ღამით შეაღო ტაძარი სალოცავად და იხილა ბრწყინვალედ მოსილი ქალი, რომელმაც გაკვირვებულ ბერს მიუგო: „წადი, აცნობე ძმებს, თქვენი მონასტერი იწვისო!“ ბერმა განგაში ატეხა და ცეცხლი სწრაფად ჩააქრეს. ამგვარად გადარჩა ივერთა სავანე.

* * *

1821 წლის ბერძენთა აჯანყების საშინელ პერიოდში თურქი ჯარისკაცებით აივსო ათონის მთის ყველა სავანე, რომლებსაც დამპყრობელთა შენახვა და ხაზინაში უზარმაზარი გადასახადების შეტანა დაეკისრათ. დაცარიელდა ივერთა სავანე, აქ დარჩა მხოლოს რამდენიმე ბერი. ღამ-ღამობით თურქები ხედავდნენ ქალს ყრმით ხელში. ამ ამბავმა მათ აფიქრებინა, რომ ბერებს იქ სხვა ქალებიც ჰყავდათ გადამალული. მოუხმეს მონასტრის დარაჯს, ბერ-დიაკონ გრიგოლს და მისი წამების ფასად სცადეს გამოერკვიათ, თუ ვინ იყო ის იდუმალი სტუმარი, ღამით რომ ჩნდებოდა და კვლავ უჩინარდებოდა ხოლმე. სასტიკად ნაგვემი და დასისხლიანებული ბერი კარიბჭის ღვთისმშობლის ხატთან მიუძღვა მათ და უთხრა: „ეს არის!“ ჯარისკაცები შიშითა და კანკალით გაეცალნენ იმ ადგილს.

ულოცავენ!

ნიკუშა ბენიაიძეს!

წარმატებულ ფერმერს, ილია ჭავჭავაძის სახელობის დედოფლისწყაროს მწიგნობართა ასოციაციის აქტიურ წევრს, 2016 წლის პროექტის „რუსთაველიდან -გალაქტიონამდე“ საიუბილეო კომისიის წევრს ნიკუშა ბენიაიძეს ვულოცავთ დაბადების დღეს – 28 აგვისტოს და მარიამობის ბრწყინვალე დღესასწაულს.

წმინდა მარიამ ღვთისმშობლის მადლი გფარავდეთ.

საუკეთესო სურვილებით და პატივისცემით:
ვანო ნატროშვილი, ნანა ჭიჭინაძე, ნაირა გორაშვილი და გოჩა კობაიძე.

მარიკა პოპიაშვილს!

ილია ჭავჭავაძის სახელობის დედოფლისწყაროს მწიგნობართა ასოციაცია ამავე ასოციაციის პასუხისმგებელ მდივანს მარიკა პოპიაშვილს ვულოცავთ დაბადების დღეს – 28 აგვისტოს და მარიამობის ბრწყინვალე დღესასწაულს.

წმინდა მარიამ ღვთისმშობლის მადლი გფარავდეთ.

საუკეთესო სურვილებით და პატივისცემით:
ვანო ნატროშვილი, ხათუნა აგლაძე, ინგა შიოლაშვილი, ნაირა გორაშვილი, დიტო ყოჩიაშვილი, მარინა ხარაშვილი და სხვები.

ზეინაბ ნატროშვილს! ქეთევან არაბულს!

დაბადების დღეს გილოცავთ,
ქეთევან და ზეინაბ,
მთელ თქვენს ოჯახს მფარველობდეს
ღმერთი მუდამ ზევიდან,

მზის შუქი არ მოგკლებოდეთ
გასავლელი გზებიდან,
ყველა ნატვრა აგისრულდეთ
რასაც ითხოვთ გულითა.

დიდხანს იცოცხლეთ სიხარულით და სიყვარულით.

პატივისცემით ქეთევან ოზგეთელშვილი.

ყურადღება!

გვესაჭიროება მაღაზიის კვალიფიციური გამყიდველი, რომელსაც ექნება შესაბამისი მაღალი ანაზღაურება. მისამართი: **დედოფლისწყარო, ნიკორციხის ქუჩა N39.**

☎ 571 04 92 92

ფიზიკაში და მათემატიკაში მოვამზადებ საშუალო სკოლის მოსწავლეებს და აბიტურიენტებს.

გამოცდილი პედაგოგი ია ბეგიაშვილი. **დედოფლისწყარო, ჭავჭავაძის ქ.N37**

☎ 595 95 59 62

იყიდება!

დედოფლისწყაროში ახალი ქუჩა (პატატიშვილის) N12-ში იყიდება ორსართულიანი ბინა.

მსურველებს შეუძლიათ დარეკონ

☎ 591 19 48 05, 577 38 41 26.

ამინდი — დედოფლისწყარო

	ორშაბათი 29.08	სამშაბათი 30.08	ოთხშაბათი 31.08	ხუთშაბათი 01.09	პარასკევი 02.09	შაბათი 03.09	კვირა 04.09
დღე	24 °	23 °	25 °	25 °	20 °	21 °	20 °
ღამე	23 °	22 °	23 °	22 °	18 °	18 °	23 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი

რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**

წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი) ; ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია
დედოფლისწყაროს რაიონის
სასამართლოს მიერ,
№6014-468.